

შპს „ემ-დი-ეს“

ს/კ 400096999

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი:

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ფულადი სახსრების ანგარიშგება -----	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	917,224	62,850	61,611
საინვესტიციო ქონება	185,300	189,503	193,706
არამატერიალური აქტივები	1,235	1,671	2,107
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1,371,750	1,363,456	2,478,569
	2,475,509	1,617,480	2,735,993
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1,436,091	1,599,623	168,861
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8,660,009	4,844,985	3,409,564
მარაგები	3,619,278	3,439,873	2,078,993
	13,715,378	9,884,481	5,657,418
მთლიანი აქტივები	16,190,887	11,501,961	8,393,411
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	9,248,179	4,048,506	3,609,887
გადაფასების რეზერვი			
	9,248,179	4,048,506	3,609,887
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	2,978,682	2,978,682	2,092,927
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,964,026	4,474,773	2,690,597
საგადასახადო ვალდებულებები			
	6,942,708	7,453,455	4,783,524
მთლიანი ვალდებულებები	6,942,708	7,453,455	4,783,524
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	16,190,887	11,501,961	8,393,411

დირექტორი:



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	23,797,286	15,663,952	15,876,501
თვითღირებულება	(16,453,463)	(12,362,038)	(13,400,345)
საერთო მოგება	7,343,823	3,301,914	2,476,156
სხვა შემოსავლები	215,687	177,412	134,402
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,462,812)	(1,054,143)	(1,158,954)
მიწოდების დანახარჯები	(122,359)	(61,335)	(28,961)
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	(250,923)	(448,773)	(300,992)
სხვა ხარჯები	(65,780)	(55,790)	(18,275)
საოპერაციო მოგება	5,657,636	1,859,285	1,103,376
ფინანსური შემოსავალი	170,177	267,998	
ფინანსური ხარჯი	(399,347)	(168,761)	(272,741)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(229,170)	99,237	(272,741)
მოგება დაბეგვრამდე	5,428,466	1,958,522	830,635
მოგების გადასახადი	(34,319)	(97,337)	-
პერიოდის მოგება	5,394,147	1,861,185	830,635
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	5,394,147	1,861,185	830,635

დირექტორი:




საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	2,779,252	2,779,252
მოგება წლის ბოლოს			830,635	830,635
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	830,635	830,635
გაცემული დივიდენდი			-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	3,609,887	3,609,887
მოგება წლის ბოლოს			1,861,185	1,861,185
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,861,185	1,861,185
გაცემული დივიდენდი			(1,422,566)	(1,422,566)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	4,048,506	4,048,506
მოგება წლის ბოლოს			5,394,147	5,394,147
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	5,394,147	5,394,147
გაცემული დივიდენდი			(194,474)	(194,474)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	9,248,179	9,248,179

დირექტორი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
- კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	19,412,714	16,530,008	17,348,785
- მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე საქვეყნარიშო გაცემულ ფულადი სახსრები	(17,110,352)	(14,086,998)	(15,226,992)
- ხელფასი და ფ/ვ მომსახურება	(768,465)	(599,358)	(666,291)
- სხვა ხარჯები	(35,210)	(65,091)	(17,268)
- სხვა შემოსავლები			
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1,498,687	1,778,561	1,438,234
გადახდილი პროცენტი	(397,927)	(171,974)	(272,741)
საბიუჯეტო გადასახდელები	(1,157,778)	(726,129)	(368,068)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(57,018)	880,458	797,425
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(33,230)	(17,299)	(30,526)
- ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	-
- მოკლევადიანი ინვესტიციები	-	-	-
- მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-	-
- მიღებული დივიდენდი	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(33,230)	(17,299)	(30,526)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- გაცემული დივიდენდი	(184,750)	(1,351,438)	-
- გაცემული სესხი	(180,200)	(1,303,366)	(3,605,600)
- მიღებული ფულადი სახსრები გაცემულის სესხის დასაფარად	134,146	2,527,907	2,896,007
- კაპიტალის ცვლილება	-	-	-
- სესხის აღება		6,456,595	1,969,245
- გასავალი აღებული სესხის დასაფარად		(5,943,441)	(4,985,008)
- მიღებული პროცენტი	170,177	264,550	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(60,627)	650,807	(3,725,356)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	(150,875)	1,513,966	(2,958,457)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	1,599,623	168,861	3,161,920
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(12,657)	(83,204)	(34,602)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	1,436,091	1,599,623	168,861

დირექტორი:



შპს ემ-დი-ეს

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემ-დი-ეს არის 08/08/2013 წელს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი არის გ. კარტოზიას ქუჩა N86, კორპ. N6, ბინა N3, ხოლო ფაქტობრივი საქმიანობის ადგილია ბაგები, წყნეთის გზატკეცილი 15.

მისი ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო აპარატურითა და სახარჯი მასალით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

კომპანიის მმართველებსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა და გაზარდონ კომპანიის მოგება, შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

3. წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში და ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი, საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

4.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალში არ ჩაირთვება სავაჭრო ფასდათმობები, კომპანიის მიერ დაშვებული სხვა

შეღავათები და დღგ. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
 - კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
 - შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
 - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.2 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ძველი მოდელის მიხედვით

კომპანიების მიერ საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიღებული მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა მოხდებოდა თუ არა დივიდენდად მისი განაწილება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, მხოლოდ მაშინ, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანზაქციები, რომელიც არაა

დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივის სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობება-ნაგებობები: 50 წელი

მანქანა-დანადგარები: 8-15 წელი

მოწყობილობები და აპარატურა: 8-15 წელი

საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი: 3-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები: 7-15 წელი.

სხვა: 3-8 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.4 არამატერიალური აქტივი

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

4.5 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო მატერიალური ფასეულობის შემთხვევაში გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

4.6 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის აკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო/ჩვეულებრივ იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღირდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მნიშაღურ საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული შენახვის და მოვლა/პატრონობის ხარჯები აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს.

4.8 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

4.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

4.10 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

4.11 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება, ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას გააჩნია იურიდიული ვალდებულება გადაიხადოს საპენსიო შენატანები.

4.13 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

4.14 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

5. ძირითადი საშუალებები			
	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	აპარატურა გაყიდვების ხელშეწყობისათვის
31 დეკემბერი 2019	40,201	21,410	-
შემოსვლა (2020წ)	21,811	-	-
გადაფასება (2020წ)	-	-	-
გასვლა (2020წ)	-	-	-
პერიოდის ცვლილება (2020წ)	(17,308)	(3,264)	-
გაუფასურება (2020წ)	-	-	-
გასვლა (2020წ)	-	-	-
31 დეკემბერი 2020	44,704	18,146	-
შემოსვლა (2021წ)	15,330	17,900	-
სასაქონლო მატერიალური მარაგის ძირითად საშუალებად აღიარება (2021)	-	-	1,007,681
გადაფასება (2021წ)	-	-	-
გასვლა (2021წ)	-	-	-
პერიოდის ცვლილება (2021წ)	(16,614)	(3,263)	(166,660)
გაუფასურება (2021წ)	-	-	-
გასვლა (2021წ)	-	-	-
31 დეკემბერი 2021	43,420	32,783	841,021
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	40,201	21,410	
31 დეკემბერი 2020	44,704	18,146	
31 დეკემბერი 2021	43,420	32,783	841,021

6. საინვესტიციო ქონება	
	შენიშვნა
31 დეკემბერი 2019	193,706
შემოსვლა (2020წ)	-
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვლილება (2020წ)	(4,203)
გაუფასურება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	189,503
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვლილება (2021წ)	(4,203)
გაუფასურება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2021	185,300
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	193,706
31 დეკემბერი 2020	189,503
31 დეკემბერი 2021	185,300

7. არამატერიალური აქტივები	
	ბუღალტრული პროგრამა
31 დეკემბერი 2019	2,107
შემოსვლა (2020წ)	-
გადაფასება (2020წ)	-
გასვლა (2020წ)	-
პერიოდის ცვთა (2020წ)	(436)
გაუფასურება (2020წ)	0
გასვლა (2020წ)	-
31 დეკემბერი 2020	1,671
შემოსვლა (2021წ)	-
გადაფასება (2021წ)	-
გასვლა (2021წ)	-
პერიოდის ცვთა (2021წ)	(436)
გაუფასურება (2021წ)	0
გასვლა (2021წ)	-
31 დეკემბერი 2021	1,235
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2019	2,107
31 დეკემბერი 2020	1,671
31 დეკემბერი 2021	1,235

8. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	
	2021
გაცემული სესხები	1,371,750
სულ	1,371,750

9. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	
	2021
ნაღდი ფული სალაროში	-
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	1,436,091
სულ	1,436,091

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	
	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	7,861,889
გადახდილი ავანსები	762,116
ზედმეტობა საბიუჯეტო გადასახადებში	36,004
სულ	8,660,009

11. მარაგები	
	2021
გადასაყიდად შეძენილი სამედიცინო სახარჯი/მასალა	3,619,278
სულ	3,619,278

12. მიღებული სესხები	
	2021
გრძელვადიანი	
საბანკო სესხები	-
	-
მოკლევადიანი	
საბანკო სესხები	2,949,100
ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული	29,582
	2,978,682
სულ სესხები	2,978,682
საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია კომპანიის საინვესტიციო ქონება	

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	
	2021
სავაჭრო ვალდებულებები	3,250,930
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	19,282
მიღებული ავანსები	693,814
დარიცხული პროცენტები	-
სულ	3,964,026

14. ამონაგები	
	2021
საქონლის გაყიდვა	23,783,998
მომსახურების გაწევა	13,288
სულ	23,797,286

15. სხვა შემოსავალი	
	2021
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	215,687
სულ	215,687

16. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	
	2021
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(250,923)
სულ	(250,923)

17. სხვა ხარჯები	
	2021
ადმინისტრაციული ჯარიმა	(5,864)
უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება	(59,916)
სულ	(65,780)
კომპანია ვაჭრობს სამედიცინო სახარჯი მასალით შესაბამისად უწევს პროდუქციის ნიმუშად - უსასყიდლოდ მიწოდება მომხმარებლებისათვის.	

18. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები	
ფინანსური დანახარჯები	2021
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(399,347)
სულ ფინანსური დანახარჯები	(399,347)
ფინანსური შემოსავალი	
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	170,177
სულ ფინანსური შემოსავალი	-
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(229,170)

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.	

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2022 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

